მშვიდობის ჟურნალისტიკაში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პრიზის მინიჭება მოხდება მხოლოდ ერთი საუკეთესოდ დაბალანსებული და მიუკერძოებელი სტატიისთვის ბეჭდურ ან ელექტრონულ მედიაში; სატელევიზიო და/ან რადიო რეპორტაჟისთვის; ვებგვერდზე, ბლოგზე ან სოციალურ მედიაში განთავსებული მასალისთვის; ახალი ამბების სააგენტოსთვის ან ელექტრონული გაზეთისთვის მომზადებული მასალისთვის.

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები

შეფასებას ჟიური მხოლოდ შემდეგ კრიტერიუმებს დაუდებს საფუძვლად:

1. **დაბალანსებულობა.** მიუკერძოებელი, დაინტერესების გარეშე, ფაქტებზე დაყრდნობით და ობიექტურად, სიღრმისეულად და ფართოდ გაშუქება; კონტექსტისა და წინაპირობების ამომწურავი ანალიზი; წყაროების შესატყვისობა (თანამდებობის პირები და რიგითი ადამიანები);

2. **ნეიტრალურობა საზოგადოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში**;

3. **თემასთან შესატყვისობა** მედიის საშუალებით მშვიდობიანი დიალოგის დამყარების ხელშეწყობაში. ახალი ამბის აქტუალურობა; დროულობა და ინიციატივიანობა; შესატყვისობა საზოგადოებისთვის, ზემოქმედება საჯარო სამსახურზე, გავლენა საზოგადოებაზე ან მკითხველზე;

4. **კონფლიქტურ ზონებში მომუშავე ჟურნალისტებისთვის დადგენილი ჟურნალისტური სტანდარტების დაცვა**. ჟურნალისტების ვალდებულება - გადმოსცენ სიმართლე და შეამოწმონ წყაროები, სიზუსტე, მიუკერძოებლობა გაშუქებისას და ინიციატივიანობა გამოძიების წარმართვაში, საფუძვლიანობა გაშუქებისას, ინფორმაციის შეგროვებაზე, საკითხის კვლევის სიღრმეზე ან წყაროების რაოდენობაზე მითითება, გაშუქების სიღრმე, ახალი ინფორმაცია და დეტალები ფაქტების შესახებ.